საქართველოს
პირველი არხი

2021 საეთერო სეზონი

უყურე და უსმინე ქართულს

2020 წელს საქართველოს პირველი არხის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, **გამოკითხულთა 85.9%-ისთვის ინფორმაციის მიღების ძირითადი წყარო არის ტელევიზია, 74.2%-ისთვის - ინტერნეტი, 4.8%-ისთვის - რადიო.**

პირველი არხი ქართული ორიგინალური გადაცემების, ტელესერიალებისა და დოკუმენტური ფილმების ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებელია ქვეყანაში. გარდა ამისა, მიზნად ისახავს ამ მიმართულებით ინდუსტრიის მხარდაჭერასა და ინვესტირებას.

2021 წლის საეთერო სეზონზე საზოგადოებრივი მაუწყებელი მაყურებელსა და მსმენელს 7 000 საათამდე ორიგინალურ ქართულ პროდუქტს შესთავაზებს, ხოლო ბიუჯეტიდან 8 მილიონ ლარზე მეტს გარეწარმოების დასაფინანსებლად მიმართავს.

საქართველოს პირველი არხის სამაუწყებლო ეთერის (პირველი არხი, ტელესკოლა, საქართველოს რადიო) 70 პროცენტს ორიგინალური ქართული პროგრამირება დაიკავებს.

რა აინტერესებს აუდიტორიას და რა სჭირდება მას?

2020 წელს საქართველოს პირველი არხის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, ტრადიციული მედია ახალგაზრდებისთვის ნაკლებად არის ინფორმაციის მიღების ძირითადი წყარო. შედარებით უფროსი ასაკის აუდიტორიისთვის კი სწორედ ის რჩება მთავარ მედიუმად. შესაბამისად, ყველა პლატფორმაზე ხელმისაწვდომი მაღალი ხარისხის პროდუქტი ჩვენი მთავარი პრიორიტეტია.

გავხადოთ საინტერესო პოპულარული და პოპულარული საინტერესო - ეს საზოგადოებრივი მაუწყებლის ხედვაა. ჩვენ ვზრუნავთ, მაყურებლის და მსმენელის ინფორმირებაზე, შემეცნებასა და გართობაზე, ვცდილობთ, შევქმნათ მნიშვნელოვანი და აქტუალური მედიაპროდუქტი, რომელიც საზოგადოების გაერთიანებას, მისი ღირებულებებისა და კულტურის განვითარებას შეუწყობს ხელს, გვინდა გავხდეთ და გავხადოთ უკეთესი.

რაზე ვახდენთ ფოკუსირებას?

- საზოგადოებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხების აქტუალიზება
- კრიტიკული გააზრების და კონსტრუქციული განხილვის წახალისება
- საზოგადოებაში არსებული პოლარიზაციის, წარმოქმნილი განხეთქილების და მიუღებლობის დაძლევა
- საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების მიმართ ნდობის გაზრდა და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება
- ქართული მედიაინდუსტრიის, ტელეფილმების/სერიალების, ქართული ორიგინალური პროგრამების განვითარების ხელშეწყობა

საინტერესო
პოპულარული

ორიგინალური ქართული პროდუქტი და პრემიუმ კლასის შესყიდული პროდუქტი

საზოგადოებრივი მაუწყებელი პრიორიტეტად ისახავს ადგილობრივი ინდუსტრიის მხარდაჭერას, ქართული პროდუქციის წარმოების ხელშეწყობას, მის პოპულარიზაციას.

საქართველოს პირველი არხი დიდ ინვესტიციას დებს დოკუმენტური კინოს ინდუსტრიის განვითარებაში. სატელევიზიო ეთერში ამკვიდრებს ქართული სერიალის ზოლს. ინარჩუნებს რადიოსპექტაკლს, როგორც ჟანრის უნიკალურ მედიაპროდუქტს და ავითარებს მას.

საქართველოს პირველი არხის თანადაფინანსებით (კოპროდუქციის ფარგლებში), შეიქმნა 10-ზე მეტი ერთობლივი მხატვრული ფილმი, რომელთა პრემიერაც საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში 2021 წელს შედგება.

მწარმოებელ კომპანიებთან ოფიციალური სახით თანამშრომლობა და პროდუქციის არამეკობრეული გზით მოპოვება მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის, რომელიც საავტორო უფლებების მიმართულებით არა მხოლოდ ზედმიწევნით იცავს საკანონმდებლო მოთხოვნებს, არამედ ცდილობს, დაამკვიდროს და პოპულარიზაცია გაუწიოს ინტელექტუალური პროდუქციის ოფიციალური ფორმით გავრცელებას.

ევროპული, ამერიკული და ქართული პრემიუმ კლასის პროდუქტის ბადეში განთავსებით ამკვიდრებს სწორედ იმ ღირებულებებს, რომლებიც ქვეყნისა და საზოგადოების განვითარების დასავლურ კურსს ასახავს.

2021 წელს, მაყურებელს საშუალება ექნება, პირველი არხის ეთერში ნახოს პრემიუმ კლასის დოკუმენტური სერიალები, რომლებსაც აწარმოებენ მსოფლიოში აღიარებული სტუდიები: BBC Worldwide Limited, Discovery. მხატვრულ სერიალები: Rai Com S.P.A., Boomerang TV, Film Quest Entertainment, LLC Ignition. მხატვრულ ფილმები: The Walt Disney Company; Paramount Pictures International Limited; Film Quest Entertainment; FOX 21 Century; Lucasfilm და ა.შ.



პირველი არხი - სპორტი

საზოგადოებრივი მაუწყებელი მაყურებელს ყველაზე მნიშვნელოვანი სპორტული მოვლენების გარშემო აერთიანებს. გარდა ამისა, მიზნად ისახავს ქართული სპორტის განვითარების ხელშეწყობასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას.

2021 წელს პირველი არხი მაყურებელს კვლავ შესთავაზებს მნიშვნელოვან საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებს:

- ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებს კალათბურთში
- ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს
- ევროპის ჩემპიონატს ფეხბურთში
- ევროპის ჩემპიონატს ძიუდოში
- ევროპის ჩემპიონატს ჭიდაობაში
- ევროპის ჩემპიონატს ძალოსნობაში
- საქართველოს კლუბებისა და ევროპის ლიგის თამაშებს
- მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებს ფეხბურთში

ტაიმაუტი
სპორტი პირველზე

პირველი არხი ბავშვებისთვის

საქართველოს პირველი არხი მაყურებელს უსაფრთხო მედიის კონცეფციას სთავაზობს, რაც გულისხმობს ისეთ სატელევიზიო და რადიო ეთერს, რომელიც უზრუნველყოფს ოჯახის ყველა წევრისთვის უსაფრთხო, მხოლოდ გადამოწმებული, სასარგებლო და საჭირო ინფორმაციის მიწოდებას.

2021 წელს ტელესკოლა განახლებული პროგრამირებით გააგრძელებს მაუწყებლობას, იგეგმება არაერთი ახალი სატელევიზიო პროგრამა, თამაში, ტოქშოუ ბავშვებისა და მშობლებისთვის. პირველ არხსა და The Walt Disney Company-ს შორის ახლახან გაფორმებული კონტრაქტი, მოიცავს კინოსა და ანიმაციის საბავშვო და საოჯახო ყურებისთვის განკუთვნილ პაკეტებს, რომლებიც უმაღლესი ხარისხის ქართული გახმოვანებით განთავსდება პირველი არხის და ტელესკოლის სატელევიზიო ეთერში.

საქართველოს რადიო

პირველი მაუწყებელი ქვეყანაში 96 წელს ითვლის. საქართველოს რადიო სრულად ფოკუსირდება ქართულ, ხარისხიან, ორიგინალურ პროდუქტზე და რაც მთავარია, ქართულ მუსიკაზე. უსმინე ქართულს - ეს საქართველოს რადიოს 2021 წლის განაცხადია.

ახალი მედიის შესაძლებლობების გამოყენებასთან ერთად, აქტუალურია ტრადიციული მედიის ფორმატების ახალ რეალობასთან შესაბამისობა, განსაკუთრებით, ახალგაზრდა აუდიტორიისთვის შეთავაზება. ევროპის მაუწყებელთა კავშირის მხარდაჭერით, საქართველოს რადიო, ავტორთა ჯგუფის ჩართულობით, 2021 წელს მოამზადებს პოდკასტების სერიას, რომელიც, ყველა თაობის, სხვადასხვა ინტერესის მქონე მსმენელზე იქნება გათვლილი.



მრავალფეროვანი საქართველო

მრავალფეროვნება ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეა. საქართველოს პირველი არხი განსაკუთრებულ სერვისს სთავაზობს ეთნიკურ უმცირესობებს.

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით, „მოამბის“ მთავარი გამოშვება ითარგმნება სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე (ენის რეჟიმის გადართვა შესაძლებელია მიმღების დისტანციური პულტის საშუალებით). გარდა ამისა, პროექტ „მრავალფეროვანი საქართველოს“ ფარგლებში საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების შესახებ სხვადასხვა ენაზე მზადდება მედიამასალები, შუქდება საინტერესო, აქტუალური საკითხები, რომლებიც ინტეგრირებულია ქართულენოვან გადაცემებში.



საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივი - ერის მეხსიერება

მნიშვნელოვანია არქივის გაცოცხლება და ხელმისაწვდომობა. ამ მიმართულებით დაწყებული პროექტები („ტელემუზეუმი“ და „რადიომუზეუმი“), რომლებიც პირველი არხის ფონდებში დაცულ მასალებს მაყურებელ/მსმენელისთვის ხელმისაწვდომს ხდის, გაგრძელდება.

ამ შეუქცევად პროცესს დაემატება ახალი პროექტი „ფოტომუზეუმი“, რომელიც ფოტოფონდში დაცული აღუწერელი მასალის დამუშავებასა და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობას ითვალისწინებს.

არქივში დაცული მასალების საყოველთაო ხელმისაწვდომობის მიზნით, ასევე გაგრძელდება მნიშვნელოვანი პროექტი „არქივი ყველას“, რაც გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის სატელევიზიო ფილმების, სპექტაკლების ადაპტაციას.

დაგეგმილია ეთნიკური უმცირესობების ენებზე არსებული მრავალფეროვანი საფონდო ვიდეო და აუდიომასალის ფართო აუდიტორიისთვის გაცნობა.



პირველი არხი - სცენა

პირველი არხის ახალი პროექტი „პირველი არხი - სცენა“ ყველა საშემსრულებლო ხელოვნებას ერთ ციფრულ პლატფორმაზე აერთიანებს. პანდემიის გამო სახელოვნებო სფერო მოწყვეტილია შესაძლებლობას, ისარგებლოს გამოხატვის ჩვეული ფორმებით. საზოგადოებრივი მაუწყებელი მას ონლაინ სივრცეში სთავაზობს ალტერნატივას, რომელიც, ერთი მხრივ, უკვე არსებული აუდიტორიის შენარჩუნებაში დაეხმარება, მეორე მხრივ კი, საშუალებას მისცემს, მოიზიდოს სრულიად ახალი სეგმენტი.

„პირველი არხი - სცენა“ მუსიკის მოყვარულებს შესაძლებლობას მისცემს, ონლაინ ბილეთების საშუალებით დაესწრონ სხვადასხვა კონცერტის ტრანსლაციას.

ონლაინ პლატფორმა მომხმარებელს ერთ სივრცეში შესთავაზებს ქართული კულტურის არქივს. ხელს შეუწყობს ახალი სახეების აღმოჩენას. აგრეთვე, ქართული კულტურის პოპულარიზაციას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვრებს მიღმა.

სცენა

ონლაინ მედია - აპლიკაციები

პირველი არხის აპლიკაციები აუდიტორიის მრავალფეროვანი სეგმენტისთვის არის განსაზღვრული.

NEWS
რადიო
მარტივი ლოგიკა
GEORGIA 360 1TV.GE
MEDIA
აუდიოსივრცე

Mobile TV უნიკალური VOD აპლიკაციაა ბაზარზე, რომელიც Digital First პრინციპით პოპულარული პროდუქტების პრემიერას მომხმარებელს აპლიკაციის საშუალებით შესთავაზებს.

აპლიკაცია „მარტივი ლოგიკა” საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თამაშია, რომელიც ერთი მხრივ, ლოგიკურ უნარებს ავითარებს, მეორე მხრივ, ქართული ენის პოპულარიზაციას უწყობს ხელს. 2021 წელს თამაშის ახალი ვერსია იქნება ხელმისაწვდომი.

„საქართველო 360“ ჩვენს ქვეყანაში ვირტუალური მოგზაურობის ყველაზე კარგი საშუალებაა, პროექტის ფოტოების ბაზა მუდმივად განახლებადი იქნება.



მაუწყებლის თითოეულ პლატფორმაზე სწორად დაგეგმილი ნაბიჯებით, ტექნოლოგიური გადაიარაღებით, რომელიც კონტენტის ხარისხობრივ გაუმჯობესებაზე პირდაპირ აისახება, საერთაშორისო, თუ ადგილობრივი მაღალი ხარისხის პროდუქტის შეთავაზებით, გვჯერა, 2021 აუდიტორიის გაფართოებისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ ნდობის განმტკიცების წელი იქნება.